

ხელშეკრულება № _____

ქ. ბათუმი

_____ 201_წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი,

ერთი მხრივ, შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“ კანცლერი ქ-ნი ლ. ხვედელიძე (მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი №38) (შემდგომში - „სასწავლო უნივერსიტეტი“)

და მეორე მხრივ _____ ფაკულტეტის _____

უმაღლესი განათლების საფეხური (I/II)

საგანმანათლებლო პროგრამის

სტუდენტი _____

გვარი, სახელი, მამის სახელი

პ/მ № _____ პირადი № _____ ტელეფონი _____

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტს უქმნის ყველა პირობას უმაღლესი განათლების მისაღებად (საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსები, სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკის ფონდები, საინფორმაციო და სხვა საშუალებები); უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული სტუდენტთა უფლებების დაცვას.
2. სტუდენტი იღებს ვალდებულებას დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის წესდება, შინაგანაწესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება, ეთიკის კოდექსი და ქვეყის წესები, შეასრულოს ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტებითა და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები, დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის ღირსება და გაუფრთხილდეს მის ქონებას, გადაიხადოს სასწავლო წლის სწავლის საფასური _____ (_____) ლარი, სენესტრულად („სემესტრის საფასური“ ანუ სასწავლო წლის სწავლის საფასურის ნახევარი) ადმინისტრაციული (პირველადი/სემესტრული) რეგისტრაციის ვადებში.
3. თუ სტუდენტი:
 - ა) დადგენილ ვადებში არ გადაიხდის სწავლის საფასურს, მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედება შეჩერებულია;
 - ბ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით გათვალისწინებულ ძირითად და დამატებით ვადაში ვერ დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელ კრედიტებს (ვერ შეასრულებს პროგრამის ყველა მოთხოვნას), მაშინ მას არ მიენიჭება კვალიფიკაცია (ვერ მიიღებს დიპლომს) და მიეცემა შესაბამისი მოწმობა.
4. მხარეები თანხმდებიან, რომ ის საკითხები რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების, ეთიკის კოდექსისა და ბნსუ-ს ქვეყის წესების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.
5. სტუდენტი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია სასწავლო უნივერსიტეტის მოქმედი წესდების, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების, ეთიკის კოდექსისა და სასწავლო უნივერსიტეტში ქვეყის წესების მოთხოვნები და ღებულობს მათი შესრულება/დაცვის ვალდებულებას.
6. მხარეები თანხმდებიან, რომ სტუდენტს შესაძლებელია შეუწყდეს სტატუსი სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით, ეთიკის კოდექსითა და სასწავლო უნივერსიტეტში ქვეყის წესებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
7. ხელშეკრულება მოქმედებს სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის მთელ ვადაზე. ხელშეკრულება ძალაშია ორივე მხარის ხელის მოწერის დღიდან.
8. ხელშეკრულება ვადამდე შესაძლებელია შეწყდეს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში.
9. მხარეთა შორის სადაო საკითხების წარმოქმნის შემთხვევაში საკითხის გარკვევა ხდება მხარეთა მოლაპარაკების გზით, ხოლო მოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოში.

სტუდენტი _____
მისამართი _____

შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ლ. ხვედელიძე _____

ხელმოწერა _____

სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი
(არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში)
სახელი, გვარი _____
პირადი № _____
ხელმოწერა _____

ბ.ა.

მოკლე ინფორმაცია ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის მსურველთათვის

- ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტსა (შემდგომში - ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება. არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი. ხელშეკრულება ფორმდება 02 ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სტუდენტს (არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში - მის კანონიერ წარმომადგენელს), მეორე - რჩება ბნსუ-ში;
- სტუდენტი, რომელიც სწავლობს სრული/ნაწილობრივი თვითდაფინანსებით, ვალდებულია დადგენილ ვადებში და ოდენობით გადაიხადოს: სრული თვითდაფინანსების შემთხვევაში – ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასური, ნაწილობრივი თვითდაფინანსების შემთხვევაში – სხვაობა მიღებულ დაფინანსებასა და ბნსუ-ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურს შორის. სასწავლო სწავლის საფასურის გადახდა ხდება ადმინისტრაციული (პირველადი/სემესტრული) რეგისტრაციის ვადებში სენესტრულად (ანუ „სემესტრის საფასური“ – სასწავლო წლის საფასურის ნახევარი). სტუდენტის ხელშეწყობის მიზნით ბნსუ-ს გადაწყვეტილებით შეიძლება შემუშავდეს სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი (მაგ., „სემესტრის საფასურის“ რამდენიმე ნაწილად გაყოფა), რისთვისაც დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოთ შესაბამისი განცხადებით ბნსუ-ს ადმინისტრაციას. თუ სტუდენტის მიიღებს უარყოფით შეფასებას „F“, მას უფლება აქვს თავიდან შეისწავლოს პროგრამის კომპონენტი (თვითდაფინანსებით, კრედიტების რაოდენობის შესაბამისად). დადგენილ ვადაში და ოდენობით სწავლის საფასურის გადაუხდელობა არის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი. ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ბნსუ-ში სტატუსშეჩერებული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენის აუცილებელი პირობაა სტატუსის შეჩერებამდე არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულება/დავალიანების დაფარვა. სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში ბნსუ-ს და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედება შეჩერებულია (ბნსუ-ში სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმავე პირობებით, რა პირობებით მოხდა მისი ჩარიცხვა). ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველზე სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა. ბნსუ-ს და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია მოახდინოს ბნსუ-სთან სრული ფინანსური ანგარიშსწორება, რაც გულისხმობს ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისათვის ბნსუ-ს მიმართ არსებული ფინანსური ვალდებულების მთლიანად შესრულებას;
- გაითვალისწინეთ, რომ: საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასურის გაზრდა ხელშეკრულების პირობების დარღვევით; ხელშეკრულების პირობები სწავლის საფასურთან დაკავშირებით ცნობილი უნდა იყოს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტთა რეგისტრაციის დაწყებამდე. აღნიშნული პირობები უცვლელად ხდება ხელშეკრულების ნაწილი; სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წელს დადგენილი სწავლის საფასურის ცალმხრივად გაზრდა შესაძლებელია გარემოებების არსებითი ცვლილების დროს, რაც დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

სტუდენტი

ხელმოწერა

სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი
(არასრულწლოვანის სტუდენტის შემთხვევაში)

ხელმოწერა